




საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



**სომხეთისა და ევროკავშირის ანთიკორუპციული  
ღონამიჯნა ჩეგონაყრი გარანყომის  
ქონტაქტსტში და საქანთვერო-სომხეთის  
თანამშრომრომის ჰინსპექტოვები**

თხანცინკა სმორნიკი







# პოლიტიკის დოკუმენტი

## გამოცემა #45 | ივნისი 2024

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ის ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და დემოკრატიის განვითარების პროცესებში. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინიციატივების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში. ამ მიზნის მისაღწევად GIP ატარებს შესაბამის სიღრმისეულ კვლევებს, ვრცელ საინფორმაციო სამუშაოს ფართო საზოგადოებასთან და ხელს უწყობს თამამ ინიციატივებს პოლიტიკურ დისკუსიასა და პოლიტიკურ მსჯელობაში.

*პუბლიკაცია მომზადებულია კონხად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით. მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წახმოდგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და აჩავითაქ შემთხვევაში ახ უნდა იქნას იმგვარად გაგებუდი, რომ ასახავს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის და ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის შეხედულებებს.*

## დოკუმენტის ციტირების წესი:

**ფრანცისკა სმოლნიკი**, “სომხეთისა და ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა რეგიონული გადაწყობის კონტექსტში და საქართველო-სომხეთის თანამშრომლობის პერსპექტივები,” პოლიტიკის დოკუმენტი No.45, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024

საქართველო, თბილისი 0107,  
ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13  
ტელ: +995 599 99 02 12  
ელ. ფოსტა: info@gip.ge  
www.gip.ge

## სარჩევი:

**3** მოკლე შინაარსი

**4** შესავალი

**5** სომხეთი და საქართველო ცვალებად რეგიონულ გეოპოლიტიკაში

**6** სომხეთის და ევროკავშირის ურთიერთობების ახლანდელი დინამიკა: შეთავაზებები, მოლოდინები, შეზღუდვები

**9** საქართველოსა და სომხეთს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა ევროკავშირთან დაახლოების კონტექსტში

**9** *საერთო გამოწვევები, გაკვეთილები, გიანსნაციონალური აქტივობები*

**10** *ავტომატური პაჩინოხები?*

**11** *გაუჩკვევდი მომავალი*

**13** დასკვნა და რეკომენდაციები

**13** გამოყენებული ლიტერატურა

## ავტორის შესახებ

**ფრანცისკა სმოლნიკი** გერმანიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების ინსტიტუტის აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის კვლევის განყოფილების უფროსი მკვლევარია, სადაც მისი საქმიანობა ეთმობა სამხრეთ კავკასიის თანამედროვე პოლიტიკასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ფრანცისკას მიღებული აქვს დოქტორის ხარისხი ბრემენის უნივერსიტეტიდან და მაგისტრატურის ხარისხი აღმოსავლეთ ევროპის კვლევებში ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტიდან. 2013 წლიდან 2015 წლამდე, ის იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კავკასიაში არასტაბილურობის ინტრა-და ინტერ-სოციალური წყაროები და ევროკავშირის შესაძლებლობები მასზე საპასუხოდ“ პოსტდოქტორი მკვლევარი.

## მოკლე შინაარსი

ბოლოდროინდელი რეგიონული რეკონფიგურაციის გათვალისწინებით, საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირების მცდელობის ფარგლებში სომხეთის მთავრობამ ევროკავშირთან ქვეყნის ურთიერთობების გაძლიერების ინტერესი გამოხატა. 2023 წლის დეკემბერში მეზობელი საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებამ ორი ქვეყნისათვის პოტენციური საფუძველი შექმნა ევროკავშირთან ურთიერთობების გაძლიერებისთვის იმ ფონზე, რომ საქართველო სომხეთისთვის ევროატლანტიკურ სივრცეში გამავალ დერეფნად მოიაზრება. თუმცა, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ წინააღმდეგობრივი კანონის მიღების შედეგად გართულებული საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მომავალი ბუნდოვანი გახდა, ისევე როგორც სომხეთისა და საქართველოს ერთობლივი ძალისხმევა ევროკავშირთან მიმართებით. თუმცა, [თბილისსა და ერევანს შორის] თანამშრომლობის, ორმხრივი [ურთიერთობებისა] და გამოცდილების გაზიარების არაერთი პოტენციური გზა არსებობს, რაც შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და სომხეთი "ავტომატურ პარტნიორებად" პარტნიორებად არ განიხილებიან გეოგრაფიული სიახლოვისა და საერთო მახასიათებლების მიუხედავადაც კი. მაგრამ, ევროკავშირთან მიმართებით საქართველო-სომხეთის პირდაპირი ძალისხმევის გარდა, სომხეთს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში საქართველოსგან არაერთი გაკვეთილის სწავლა შეუძლია.

**საკვანძო სიტყვები:** სამხრეთ კავკასია, სომხეთი, საქართველო, ევროკავშირი, ევროკავშირთან დაახლოება

## შესავალი

დღემდე სამხრეთ კავკასია ფუნდამენტური რეკონფიგურაციის პროცესების გავლენით ფორმირდება. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის 2020 წლის ომისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების ფონზე, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანის მიერ 2023 წლის სექტემბერში რეგიონზე სრული კონტროლის დამყარებისა და ყარაბაღელი სომხების რეგიონიდან გასვლის შემდეგ, რეგიონის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი მნიშვნელოვნად შეიცვალა (Neset et al. 2023; Kakabadze 2024). 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანმა ომმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი უსაფრთხოების ევროპული სისტემა მოშალა, რასაც გეოპოლიტიკასა და უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანი და უმეტესწილად დამანგრეველი გავლენა ჰქონდა (Scott 2022). ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ბევრი ქვეყნისთვის ეს გაზრდილ საფრთხეებს გულისხმობდა (German 2024). რუსეთის მიერ უკრაინის დაპყრობამ ევროკავშირს ერთი მხრივ მოსკოვთან, ხოლო მეორე მხრივ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ურთიერთობების გადახედვისკენ უბიძგა.

ამ უკანასკნელის ფარგლებში, ევროკავშირმა აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებისთვის გაფართოების გზა გახსნა და შედეგად, უკრაინა, მოლდოვა და საქართველო ახლა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსით სარგებლობენ (Nizhnikau and Moshes 2024). ცვალებად გეოპოლიტიკურ ლანდშაფტთან მოსარგებად, ერევანმა საკუთარი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირება გადანყვიტა, მათ შორის ევროკავშირთან ურთიერთობების გაძლიერებით. მეორე მხრივ, კანდიდატის სტატუსის მიღების მიუხედავად, საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობა გაურკვეველ ფაზაში შევიდა, რაც განსაკუთრებით უცხოური გავლენების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი კანონის მიღებამ და რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში ნავიგაციის თბილისის გაურკვეველმა მცდელობამ გამოიწვია (Kakachia et al. 2024). ამ გაურკვეველობისა და ევროკავშირთან დაახლოების საერთო მიზნის არარსებობის მიუხედავად, საქართველოსა და სომხეთის ერთიანი ვექტორის გათვალისწინებით ამ ორი ქვეყნის ერთმანეთთან დაკავშირება პოლიტიკის განხილვის საგანი გახდა.

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია გამოიკვლიოს და შეაფასოს საერთო ძალისხმევის მასშტაბები. ამისათვის, ნაშრომში აღწერილია სომხეთისა და საქართველოს პოზიციონირება უაღრესად არასტაბილურ გარემოში და გამოკვეთილია ევროკავშირისა და სომხეთს შორის ურთიერთობების ბოლოდროინდელი დინამიკა. ამის საფუძველზე, ნაშრომი იკვლევს რამდენად და რა მიმართულებით არსებობს ევროკავშირთან დაახლოების კუთხით ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობისთვის საერთო საფუძველი. პირველადი და მეორეული წყაროების, მათ შორის აკადემიური ლიტერატურის, ოფიციალური განცხადებების და მედია წყაროების გამოყენებით, ანალიზი ეფუძნება ოცზე მეტ ინტერვიუს და არაფორმალურ საუბარს სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან კონტექსტუალური ინფორმაციის წარმოსადგენად. ანალიზი გართულებულია არაერთი ფაქტორის, მათ შორის ფართო გეოპოლიტიკური კონტექსტისა და რუსეთის მიერ უკრაინის დაპყრობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხების, ინტერ-რეგიონული მოვლენებისა და სტაბილურობის დონის, პრო-ევროპული პოზიციის ქვეყნის შიგნით მდგრადობის ხარისხის, ორივე ქვეყანაში პოლიტიკის ტრაექტორიისა და რეგიონის მიმართ ევროკავშირის სტრატეგიული ხედვის გარშემო დარჩენილი ღია კითხვების გამო. ეს ბუნდოვანებები შედეგებშიც აისახა: მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში იდენტიფიცირებულია ის მიმართულებები, სადაც საქართველოსა და სომხეთს შორის ევროკავშირთან დაახლოების კუთხით გამოცდილების გაზიარება შეუძლიათ, ამ პოტენციალის რეალიზება თბილისისა და ერევნის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. მაშინ, როდესაც საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები გამოცდის ფაზაშია, თანამშრომლობის შესაძლებლობა ამ ეტაპზე ბუნდოვანია. თუმცა, მაინც შეიძლება უფრო ზოგადი გამოცდილების შეგროვება ევროკავშირისა და სომხეთს შორის ურთიერთობების განვითარების კუთხით.

## სომხეთი და საქართველო ცვალებად რეგიონულ გეოპოლიტიკაში

სამხრეთ კავკასიაში რეგიონული დაყოფა და მოკავშირეობის მახასიათებლები როგორც „დაბალანსების“ ისე „მიტმასნების“ პოლიტიკის პირობებში ძირითადად განგრძობადი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტებით განისაზღვრება (Broers 2018; Abushov 2023). სომხეთისთვის კავკასიაში რუსეთის გავლენის ფესვგადგმულ გაგებასთან ერთად, ეს ვრცელდება რუსეთ-სომხეთის ურთიერთობაზეც, სადაც სომხეთი რუსეთს უსაფრთხოების უზრუნველმყოფის როლს ანიჭებს მეზობელ აზერბაიჯანთან კონფლიქტის პირობებში (Tatikyan 2024). თუმცა, რუსეთის ამგვარი აღქმა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ემანსიპაციის პროცესის ხანგრძლივობის მიუხედავად (Atenasyan, Reynolds and Mkrtichyan 2023), 2020 წლის ომში სომხეთის მიერ რუსეთის მოქმედებების შეფასებამ და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის განვითარებულმა მოვლენებმა ეს ლატენტური პროცესი კულმინაციამდე მიიყვანა, რა დროსაც სომხეთის მიერ რუსეთის აღქმა და მის მიმართ ნდობა ფუნდამენტურად შეიცვალა. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) 2023 წლის დეკემბრის (2024) გამოკითხვა აჩვენებს, რომ რუსეთთან სომხეთის ურთიერთობა (მეტნაკლებად ან ძალიან) კარგად მხოლოდ გამოკითხულთა 31%-ის მიერ შეფასდა, რაც 2019 წლის ოქტომბრის 93%-იანი მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ვარდნაა.

რუსეთის მიმართ განწყობების მკვეთრი ცვლილება სომხეთის საგარეო პოლიტიკის დაჩქარებულ ძვრებთანაა დაკავშირებული. ერევანმა რუსეთის ინიციატივებში, განსაკუთრებით კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (CSTO), სომხეთის ჩართულობის და ასევე სომხეთში რუსეთის ჩართულობის ფრთხილი შეზღუდვა დაიწყო, მაგალითად, იმის გამოცხადებით, რომ რუსმა მესაზღვრეებმა ერევანის საერთაშორისო აეროპორტი და აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ტერიტორიები უნდა დატოვონ (Ekho Kavkaza 2024). მოსკოვის, როგორც უსაფრთხოების გარანტორისა და რუსეთის მიერ დომინირებული ინსტიტუტების, მაგალითად CSTO-ს მიმართ უნდობლობის ზრდის ფონზე, ერევანი უფრო მეტად ცდილობს საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირებისკენ მიმართული ძალისხმევა გააძლიეროს. ეს მათ შორის გულისხმობს ინდოეთთან, ჩინეთთან, ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობების დაწყებას და დასავლეთის ქვეყნებთან, მაგალითად საფრანგეთთან და აშშ-სთან ურთიერთობების გაძლიერებას. დემოკრატიულ ფასეულობებისა და ტრანაქტორიის წინა პლანზე წამოწევით (Nikaghosyan and Ter-Matevosyan 2023), ერევანი ასევე ცდილობს ევროკავშირთან უფრო ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. საგარეო პოლიტიკის მსგავს ცვლილებას მხარს უჭერს სომხეთის მოსახლეობაც: IRI-ს 2023 წლის დეკემბრის გამოკითხვაში გასული ნახევარი წლის განმავლობაში მთავრობის წარმატების შესახებ კითხვის პასუხად, „მულტი-ვექტორული საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ცვლილება“ სიის სათავეში მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ურთიერთობას 87% აფასებს როგორც მეტნაკლებად ან ძალიან კარგს, ევროკავშირს სომხეთში კრიტიკოსებიც ჰყავს. სომხეთის ხედვით, ევროკავშირის მოქმედებებმა 2020 წლისა და 2023 წლის სექტემბრის პერიოდებში ბრიუსელის იმიჯი შეილახა, რადგან კონფლიქტის გადაჭრის პროცესში მას უფრო დამკვირვებლის პოზიცია ჰქონდა, ვიდრე აქტიური მოთამაშის (Ghazaryan 2023). ამდენად, ევროკავშირის მიმართ დადებითი შეფასებები შეიძლება განვიხილოთ რუსეთის მიმართ მკვეთრად შემცირებული ნდობის ქრილში, სადაც „სომხეთის მიმდინარე და მომავალი საგარეო პოლიტიკის ცვლილებების გარშემო უფრო მეტი კითხვებია, ვიდრე პასუხები“ (Tatikyan 2024, 85).

რაც შეეხება საქართველოს, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანმა ომმა და უფრო ფართო სამეზობლოში მასთან დაკავშირებულმა გეოპოლიტიკურმა პოლარიზაციამ ქვეყანაზე ამბივალენტური გავლენა მოახდინა - ხაზი გაუსვა საქართველოს გეოპოლიტიკურ არასაიმედოობას, გააჩინა ახალი შესაძლებლობები ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით და ხელი შეუწყო ქვეყნის შიდა კრიზისს, მათ შორის შიშებს ავტორიტარიზმთან დაკავშირებით.

უკრაინის კვალდაკვალ, საქართველომ 2022 წლის მარტში გააკეთა განაცხადი ევროკავშირის წევრობის შესახებ, იმავე წლის ივნისში მიიღო ევროპული პერსპექტივის სტატუსი და საბოლოოდ - კონკრეტული რეფორმების მოთხოვნებთან არათავსებადობის მიუხედავად - ასევე მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი 2023 წლის დეკემბერში (Council of the European Union 2024). ამდენად, ევროკავშირმა, გეოპოლიტიკური მოთამაშის სტატუსის გაძლიერების მცდელობის პროცესში, საქართველოს განუსაზღვრა პოტენციური გზა გეოპოლიტიკური გაურკვევლობის დასაძლევად, რის ჩამოყალიბებასაც ხელი შეუწყო ევროკავშირის წევრებს შორის ევროპული ინტეგრაციის საბოლოო მიზნის შესახებ საერთო გაგების არარსებობამ (German 2024; Kakabadze 2024). თუმცა, ევროპული ინტეგრაციის პროცესი საქართველოს მმართველი პარტიის მიერ გადადგმულმა დამლუპველმა ნაბიჯებმა გადაფარა, რამაც ევრო-ატლანტიკური პარტნიორები ალაშქოთა - მათ შორის, უნდა აღინიშნოს 2024 წლის აპრილში უცხოური გავლენის შესახებ წინააღმდეგობრივი კანონის დაბრუნება და რამდენიმე კვირაში მისი მიღება. საქართველოში ამას მასობრივი პროტესტი მოჰყვა და კანონის მიმართ წინააღმდეგობამ ქართული საზოგადოების ფართო სეგმენტი გააერთიანა (Chatham House 2024).

საქართველოს ევრო-ატლანტიკურმა და საერთაშორისო პარტნიორებმა, მათ შორის ევროკავშირის ინსტიტუტებმა და წევრმა სახელმწიფოებმა, აშშ-მ, გაერომ, და ევროსაბჭომ, კანონი საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის გადამწყვეტ ფაქტორად და ფუნდამენტური უფლებების საფრთხედ შეაფასა (cf. Council of Europe Venice Commission 2024; European Commission 2024). ამის პასუხად, ვაშინგტონმა ათეულობით ქართველ ოფიციალურ პირს სამოგზაურო შეზღუდვები დაუწესა (Lee 2024). კანონი დაძაბული დისკუსიების საგნად იქცა. მისი მომხრეები საქართველოს ევრო-ატლანტიკურ პარტნიორებს მტრულ განზრახვებსა და ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობაში ადანაშაულებენ მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგეები, და განსაკუთრებით კი ზემოთ ნახსენები პარტნიორები, კანონს ევროპული გზიდან საქართველოს შესაძლო გადახვევის სიგნალად აღიქვამენ. მსუბუქად რომ ვთქვათ, არსებული სიტუაცია საქართველოსთვის „გზაგასაყარს“ წარმოადგენს, როგორც ეს ევროკომისიის პრეზიდენტმა ვონ დერ ლეიენმა განაცხადა (European Commission 2024a).

## **სომხეთის და ევროკავშირის ურთიერთობების მიმდინარე დინამიკა: შეთავაზებები, მოლოდინები, შეზღუდვები**

ერევნის მიერ ახლახან გაცხადებული მიზანი ევროკავშირთან ურთიერთობების გაძლიერების შესახებ არ დარჩენილა უპასუხოდ ბრიუსელში, რომელმაც უკვე გამოთქვა მზაობა ორმხრივი კავშირების განახლებისთვის. ეს განვითარება მორიგი ფურცელია სომხეთისა და ევროკავშირის ურთიერთობების სხვადასხვაგვარი მოვლენებით აღსავსე ისტორიაში, რომელიც მოიცავს ევროკავშირის რეგულაციებთან მნიშვნელოვან დაახლოებას და ასოცირების შეთანხმების შესახებ წარმატებულ მოლაპარაკებებს უკრაინასთან, მოლდოვასა და საქართველოსთან ერთად, ასევე 2013 წლის სექტემბერში უეცარ ცვლილებას და შეთანხმების ძალაში შესვლამდე რამდენიმე კვირით ადრე, ასოცირების შეთანხმების უარყოფას და მის ნაცვლად რუსეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას. ბრიუსელისგან მოთხოვნილი პაუზის შემდეგ ორივე მხარემ ახალი „ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის შესახებ შეთანხმებაზე“ (CEPA) დაიწყო მოლაპარაკება. CEPA ადაპტირებულია სომხეთის შეცვლილ პირობებზე და სრულად ძალაში 2021 წლის მარტში შევიდა (Khvorostiankina 2023). სომხეთის ევროკავშირის მიმართ დაწყებულ ურთიერთობას წარსულის გამოცდილებაც ახლავს თან და სომხეთის წინა საგარეო პოლიტიკა მხოლოდ რუსეთთან ქვეყნის ურთიერთობებით არ შემოიფარგლება, თუმცა სწორედ ეს ცვალებადი გამოცდილება ხდის შესაძლებელს სომხეთის ევროკავშირთან დაახლოებას. ბრიუსელის დამყოლი პოზიციისა და ევროკავშირისა და სომხეთს შორის ახალი და „ამბიციური“ პარტნიორობის დღის წესრიგის დაანონსების მიუხედავად (Council of the European Union 2024a), ზოგი მოცდისა და დაკვირვების რეჟიმში რჩება.

2024 წლის თებერვალში, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში - ჯოზეფ ბორელმა მოთხოვნაზე „წარმოედგინა ვარიანტები ევროკავშირისა და სომხეთს შორის ურთიერთობების გაძლიერებისთვის ყველა განზომილებაში“ პასუხად

თანამშრომლობის სამი მიმართულება წარადგინა (European Council 2023, 10). ეს მიმართულებებია მედეგობის გაძლიერება და ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა თანამშრომლობის გაფართოებითა და ინვესტიციებით ვაჭრობის, დაკავშირებადობის, ენერგეტიკის მიმართულებით. გაიჟღერა ვიზა ლიბერალიზაციამ ხალხთა შორის კონტაქტების გასაღრმავებლად და რეფორმების ტრაექტორიის მხარდასაჭერად, და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობამ სომხეთში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის გაძლიერებით და ყველა იმ მექანიზმის გამოყენებით, რომელიც არალეიტალური აღჭურვილობის გადაცემას გახდის შესაძლებელს ევროპის მშვიდობის ხელშეწყობის ინსტრუმენტის საშუალებით (European External Action Service 2024). მიუხედავად იმისა, რომ ეს მიმართულებები უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობებს ქმნის, ისინი ასევე წარმოაჩენს აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

ურთიერთობების დაახლოებისთვის პოლიტიკური ნების მნიშვნელობის ხაზგასმასთან ერთად, ბორელი სტრუქტურულ შეზღუდვებსაც აღნიშნავს „რომელიც ერთ ღამეში ვერ მოგვარდება“ (European External Action Service 2024). ბრიუსელი ნაჩქარევად მოქმედებასაც ერიდება, რასაც სომხეთის სუვერენიტეტის საფრთხეში ჩაგდება შეუძლია. სტრუქტურული შეზღუდვები ეხება სომხეთის რუსეთზე დამოკიდებულებას ისეთი კრიტიკული მიმართულებებით, როგორცაა ბუნებრივი გაზის იმპორტი, სადაც რუსეთიდან იმპორტის წილი 2021 წელს 88%-მდე იყო და სექტორი, რომელსაც თითქმის სრულად გაზრომის შვილობილი კომპანია აკონტროლებს (International Energy Agency 2023, 4; Sosa 2024). ამასთან, 2023 წელს (იანვარ-დეკემბერი) სომხეთის ექსპორტის დაახლოებით 40% რუსეთზე მოდიოდა, რაც ამ დროისთვის სომხური პროდუქტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზარია. შედარებისთვის, ევროკავშირში იმპორტის მაჩვენებელი მხოლოდ 8%-ს სცდება (Statistical Committee of the Republic of Armenia 2024). იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთის საგარეო ვაჭრობა რუსეთში მხოლოდ ერთ სახმელეთო გზაზე საქართველოს გავლით გადის, აზერბაიჯანთან და თურქეთთან დაკეტილი საზღვრების გამო, რუსეთს სომხეთის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ბერკეტების გამოყენება შეუძლია ამ უკანასკნელის პრო-ევროპული მისწრაფებების საპასუხოდ (Mgdesyan 2023).

ეკონომიკის დივერსიფიკაციის მცდელობებსა და ევროკავშირსა და სომხეთს შორის ვაჭრობის ზრდას ხელს სომხეთის ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრობა უშლის, რაც ვაჭრობისთვის უპირატეს პირობებს ბლოკის წევრებს შორის აყალიბებს. სომხეთის ვაჭრობაში რუსეთის გავლენიანი როლი სომხურ ბიზნესს ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენციის უკეთ გასაწევად ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების დიდ სტიმულს არ აძლევს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთმა დაასრულა GSP+ ინიციატივა - ინსტრუმენტი, რომელსაც ბრიუსელი განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად იყენებს - რასაც ევროკავშირში სომხეთის ექსპორტზე ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია (European Commission 2023), სომხეთის პატარა ზომის ბაზარი და მასშტაბები ევროპელი ინვესტორებისთვის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. ამდენად, სომხეთის მხარდაჭერა ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირების მიმართულებით გრძელვადიანი ამოცანაა. თუმცა, როგორც ბრიუსელშიც აღნიშნავენ, ეს შესაძლოა ერევანსა და ბაქოს შორის მშვიდობის შეთანხმებით და სომხეთსა და აზერბაიჯანს და სომხეთსა და თურქეთს შორის ნორმალიზებული ურთიერთობებით დაჩქარდეს.

ევროკავშირის პოლიტიკა აღმოსავლეთ სამეზობლოსთან თავისი მყიფე და ცვალებადი უსაფრთხოების გარემოთი, დიდი ხანია კრიტიკის საგანია შეუსაბამო დროის ფაქტორის გათვალისწინებით, რაც ერთი მხრივ გულისხმობს მმართველობის გრძელვადიან მიდგომას რომლის მიზანიც მოდერნიზაცია და ევროკავშირთან პარტნიორების დაახლოებაა ნორმებისა და ევროკავშირის კანონთა კრებულის ექსპორტით, ხოლო მეორე მხრივ საჭიროებს პარტნიორების მოკლევადიანი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საჭიროებების გათვალისწინებას (Wolczuk et al. 2023; Nizhnikau and Moshes 2024). უსაფრთხოების საკითხი განახლდა, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში, რომელმაც 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის დაპყრობის შემდეგ ცვლილებები განიცადა და ევროკავშირის ორმხრივ ურთიერთობებში სომხეთთან, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ სომხეთში ევროკავშირის მონიტორინგის მისიაში აისახა. ევროპის მშვიდობის ხელშეწყობის ინსტრუმენტის ინიციატივაში სომხეთის, როგორც პარტნიორის ჩართულობის იდეა და ამასთან მინიშნებები, რომ უნგრეთი მზად იყო ამ ნაბიჯის დასაბლოკად, აჩვენებს, რომ სტრუქტურული შეზღუდვები არამხოლოდ პარტნიორ ქვეყნებზე ვრცელდება, არამედ გავლენას

ევროკავშირზეც ახდენს, განსაკუთრებით უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაზეც გადანყვეტილებები ერთსულოვნად მიიღება. სომხებისთვის, უსაფრთხოების საკითხები განსაკუთრებით მეზობელ აზერბაიჯანთან ქვეყნის კონფლიქტურ ურთიერთობებს უკავშირდება, რომელიც თვითონ არის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ქვეყანა და ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების ორმხრივი პარტნიორი.

განსხვავებული ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, უსაფრთხოების მიმართულებით მიღებული გადანყვეტილებები როგორც წესი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ყველაზე დაბალი საერთო მნიშვნელობა (Wolczuk et al. 2023, Bendiek, Ålander and Bochtler 2020). ეს კი შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სომხების მოლოდინებისგან და წარსულში ევროკავშირის სხვადასხვა როლები, როგორცაა ნორმატიული, გეოპოლიტიკური, მედიატორული თუ რეალპოლიტიკის ან ახალჩამოყალიბებული უსაფრთხოების მოთამაშე, მეტად ბუნდოვანს ხდის მის პოლიტიკასა და მოლოდინებს. ამის საპირწონედ, ევროკავშირის გადმოსახედიდან, რუსეთისგან სომხეთის ღიად დისტანცირების მიუხედავად, ქვეყანა ჯერ კიდევ CSTO-ს ფორმალური წევრია, გიუმრსა და ერებუნში რუსული ბაზებით, რომლებიც რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის ნაწილია და საერთაშორისო საზღვრების დაცვაში რუსი მესაზღვრეები ეხმარებიან. ბრიუსელი ყურადღებით უყურებს სომხეთის უსაფრთხოების კავშირებს რუსეთთან, რაც სიფრთხილეში ითარგმნება და კიდევ უფრო მეტად ზღუდავს უსაფრთხოების მიმართულებით თანამშრომლობის სივრცეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვოლცზუკი და სხვები (2024) აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის აქტორობა განისაზღვრება როგორც საშინაო, ისე საგარეო სტრუქტურული შესაძლებლობებით (ან ხშირად, შემაფერხებელი ფაქტორებით).

ევროკავშირი-სომხეთის მიმდინარე დინამიკა სომხეთის დემოკრატიზაციის ტრაექტორიას უკავშირდება (Gevorgyan and Antonyan 2024). ბრიუსელის პერსპექტივიდან, დემოკრატიულ პრინციპებზე, კარგ მმართველობასა და კანონის უზენაესობაზე და ამდენად CEPA-ს იმპლემენტაციაზე ყურადღების გამახვილება სტაბილიზაციის ფაქტორია და მედეგობის გაუმჯობესებასთან ერთად, უსაფრთხოებას უზრუნველყოფს (Lebanidze, Aleksanyan, and Gonashvili 2022). სომხეთმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, როგორც ეს დასტურდება არაერთი ინდექსის მაჩვენებლებით, როგორცაა ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი (BTI Transformation Index 2024) ან Freedom House-ის მსოფლიოში თავისუფლების ინდექსი (Freedom House 2024). მაგრამ 2018 წლის ხავერდოვანი რევოლუციის შემდგომ განხორციელებული რეფორმები არარეგულარულია და რიგ შემთხვევებში სტაგნაციასაც განიცდიდა, რასაც გასული წლების გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები განაპირობებდა და რასაც თან ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და პოლიტიკური ნების არარსებობა ერთვოდა, განსაკუთრებით მგრძობიარე თემების გარშემო გასატარებელ რეფორმებზე. თუმცა, მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა მაგალითად სასამართლოს, ანტი-კორუფციული, კარგი მმართველობისა და ანტი-დისკრიმინაციული მიმართულებებით (Delcour and Ghazaryan 2024; CEPA Progress Monitoring 2024; OECD 2024).

რაც შეეხება მგრძობიარე რეფორმების განხორციელებას, ხალხთაშორისი კონტაქტების ხელშეწყობის მიღმა, ბორელის თქმით, ვიზა ლიბერალიზაციის პერსპექტივა შესაძლოა სერიოზული სტიმული იყოს. ამის მაგალითი საქართველო და ანტი-დისკრიმინაციული კანონის მიღებაა ვიზა ლიბერალიზაციის პროგრესის გზაზე. თუმცა, საქართველოს მაგალითი ასევე აჩვენებს, რომ როგორც კი ეს მოხდება, რეფორმებისთვის ამ ძალის მქონე სხვა წამახალისებელი ფაქტორის პოვნა რთულდება. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაზე მთავარი პოლიტიკური ნებაა, რადგან შესაძლოა ევროკავშირის წევრობაც კი არი იყოს საკმარისი პოლიტიკის ცვლილებისთვის, რასაც საქართველოს მიმდინარე დინამიკა ადასტურებს. უფრო ზოგადად, გაცხადებული გეოპოლიტიკური მიდგომის მიუხედავად, ბრიუსელს მაინც არ აქვს საკმარისი ინსტრუმენტები გართულებულ გეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების გარემოში სამოქმედოდ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად მისი გადანყვეტილების მიღების სტრუქტურა შეზღუდულია, ევროკავშირი მაინც აგრძელებს იმ ვარაუდებით მოქმედებას, რომ ევროკავშირის ნორმატიული ბაზა მიმზიდველია, სადაც არსებობს მოლოდინები პარტნიორი ქვეყნების მიმართ, რომ ისინი „ევროკავშირის მსგავსი სახელმწიფოები გახდებიან“ ევროკავშირის წევრობის გარეშე (მოკლე ან საშუალოვადიან პერსპექტივაში მაინც (Horký-Hluchán and Kratochvíl 2014, 256; see also Williams 2022, 2023).

## საქართველოსა და სომხეთს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა ევროკავშირთან დაახლოების კონტექსტში

გაძლიერების შესახებ მისი გაცხადებული პოზიციის კვალდაკვალ, ყურადღებას იქცევს საქართველო-სომხეთის კავშირები. უკვე გაიჟღერა იდეამ „ტრიო+ სტრატეგიაზე“, რომელიც ფარავს სამ ასოცირებულ ქვეყანას - უკრაინა, მოლდოვა საქართველოსა და უკვე პოსტ-რევოლუციურ სომხეთს (Williams 2022). მსგავს ინიციატივებს დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია, რაც სავარაუდოდ ევროკავშირის მხრიდან დამატებითი ფორმატების შექმნის სურვილის არარსებობაზე მიუთითებს. ამასთან, აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების მხრიდან იყო მოთხოვნა ევროკავშირის მიმართ შემუშავებულიყო უფრო ინდივიდუალური მიდგომა. ერევანის მიერ ევროკავშირთან დაახლოების კიდევ ერთხელ დადასტურებული ამბიციის გათვალისწინებით, საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატი სტატუსის მიღება ერევანში ძალიან პოზიტიურად შეფასდა (Tatikyan 2024). პრემიერ მინისტრ ფაშინიანის თქმით, „ამას პირდაპირი გავლენა ექნება არამხოლოდ ჩვენს რეგიონზე, არამედ სომხეთ-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებზე“ (სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი 2024). საპასუხოდ, საქართველოს ოფიციალურმა პირებმა სომეხ კოლეგებს ევროპასთან დაახლოების საკუთარი გამოცდილების გაზიარება შესთავაზეს (Factor 2024). საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებამდეც კი, საქართველოსთან ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად იზოლირების საფრთხის ქვეშ მყოფი სომხეთისთვის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში შესვლის შესაძლებლობად განიხილებოდა (Poghosyan 2018).

### საერთო გამოწვევები, გაკვეთილები, გხანსნაციონალური აქტივობები

იმის გათვალისწინებით, რომ ერევანსა და თბილისს, შესაძლოა, ჰქონდეთ ევროკავშირთან დაახლოების ერთნაირი ხედვა, თუმცა განსხვავებული მიზნები, არსებობს მიმართულებები, სადაც გამოცდილების გაზიარება ან საერთო გამოწვევების დასაძლევად თანამშრომლობა შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს. მთავარი საერთო მიმართულება პოლიტიკური რეფორმების განხორციელებაა. ეს მნიშვნელოვანია არამხოლოდ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის გზაზე პროგრესისთვის, არამედ წამყვანი საკითხია CEPA-შიც. ორივე ქვეყანაში, სასამართლო სისტემის რეფორმა უმთავრესი გამოწვევაა, როგორც ეს სხვადასხვა ინდექსებითა და მონიტორინგის ანგარიშებით დასტურდება (Melis et al. 2023, Coalition for an Independent and Transparent Judiciary 2023; Eastern Partnership Civil Society Forum 2024). საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა, რაც ფუნქციური და მედეგი დემოკრატიის საფუძველია, ორივე ქვეყანაში გასაუმჯობესებელია (compare IRI polls).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ევროკავშირი პარტნიორი ქვეყნების მედეგობის გაძლიერებაზე ამახვილებს ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ევროკავშირის მხარდაჭერით, პრობლემის აღიარება მოხდა და მის გადაჭრაზეც მუშაობა დაწყებულია, დეზინფორმაცია, შეზღუდული მედია წიგნიერება და სიძულვილის ენა, რაც (საზოგადოებრივი) მედეგობისთვის გადამწყვეტი ფაქტორებია, ორივე ქვეყანაში სხვადასხვა ხარისხითაა იდენტიფიცირებული (Avedisian 2023; Tsetskhladze 2023; Basilaia and Danelia 2022; Vardanyan and Zolyan 2024). ეს გამოწვევები, რაც უფრო ფართო ჰიბრიდული საფრთხეების ნაწილია, არამხოლოდ სომხეთსა და საქართველოშია, არამედ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებშიც გვხვდება. საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გამოკვეთა რეფორმებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ზედამხედველობის, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების მიზანშეწონილობა. სამოქალაქო საზოგადოების უფრო ფართო ცნება, რომელიც მოიცავს როგორც ინსტიტუციონალიზებულ სეგმენტს, ისე საზოგადოების ფართო მასებს, ხელს უწყობს ყოვლისმომცველ პოლიტიკურ მონაწილეობას (Luciani 2021). სამოქალაქო საზოგადოების უფრო ფართო ჩართულობის შესახებ მოწოდებები გაკეთდა ევროკავშირსა და სომხეთს შორის ურთიერთობების კონტექსტშიც (Delcour and Ghazaryan 2024).

პოლიტიკური რეფორმების გარდა, ევროკავშირთან დაახლოება კომპლექსურ საკანონმდებლო ჰარმონიზაციასაც გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბოლო შეფასებები ამ მიმართულებით გაუარესებულია (Eastern Partnership Civil Society Forum 2024), ქვეყანამ ევროკავშირის ნორმების დანერგვის მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღო ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში სექტორული თავსებადობის უზრუნველყოფით. როგორც სომხეთი, ისე ბრიუსელი ხაზს უსვამს ადეკვატური ადმინისტრაციული და ადამიანური შესაძლებლობების ქონის მნიშვნელობას. ეს უკანასკნელი პარტნიორ ქვეყნებს ეხმარება ეფექტურად შეძლონ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, ევროკავშირის ფუნქციონირებასთან ადაპტირება და ევროკავშირის შემოთავაზებებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება ევროკავშირის ბიუროკრატიაში ნავიგაციით. ვიზა ლიბერალიზაცია ერთ-ერთი ყველაზე მომთხოვნი პროცესია, რაც მაღალი სტანდარტების მიღწევას საჭიროებს და რა დროსაც გამოცდილების გაზიარებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. სომხეთის ეკონომიკური დივერსიფიკაციის მიმართ ერევანის ინტერესისა და ევროკავშირის გაცხადებული მხარდაჭერის გათვალისწინებით, გამოცდილების გაზიარება შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ბიზნესებისთვისაც ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის აუცილებელი ხარისხის მოთხოვნებისა და ევროკავშირის სტანდარტების დასაწერად - მაგალითად ფიტოსანიტარული და ლაბორატორიული მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად არსებობს სივრცე თანამშრომლობისთვის, სომხეთის ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრობა, ხოლო საქართველოს DCFTA-ში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას ზღუდავს (Delcour and Ghazarian 2024). ამასთან, DCFTA-ს მიუხედავად, საქართველოს შემთხვევა ევროპულ ბაზარზე გაყიდვების გზით ექსპორტის დივერსიფიკაციის პრობლემებზე მიუთითებს.

2024 წლის დასაწყისში, ერევანმა და თბილისმა განაცხადეს ურთიერთობების სტრატეგიულ პარტნიორობაზე გადაყვანის შესახებ, რაც მხარეების თქმით სხვა მიმართულებებთან ერთად მოიცავს თანამშრომლობას ტრანსპორტის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში (JAMnews 2024; JAMnews 2024a). მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბუნდოვანია კონკრეტულად რას მოიცავს ეს ინიციატივა, ზემოთ ნახსენები სფეროები ევროკავშირთან ურთიერთობების გაძლიერებასაც შეუწყობს ხელს, მაგალითად ინფრასტრუქტურული ინვესტიციებისა და ორმხრივი ეკონომიკური და საინვესტიციო მიმართულებით მსგავსი აქტივობების უფრო მჭიდრო კოორდინაციით. მხარეების წარმომადგენლების თქმით, ინიციატივა შესაძლოა გაფართოვდეს და ტრანსნაციონალური კომპონენტი შეიძინოს. იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთს ზღვაზე გასასვლელი არ აქვს და ოთხი მეზობლიდან ორთან საზღვრები ჩაკეტილია, საქართველო, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სომხეთის ბუნებრივი პარტნიორია. სომეხი ოფიციალური პირები ასევე გამოხატავენ ინტერესს რეგიონული დაკავშირებადობის პროექტებში ჩართულობის მიმართ, რასაც მხარს უჭერს ევროკავშირიც. ამ შემთხვევაშიც სომხეთსა და აზერბაიჯანს და სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.

## **ავტომატური პაჩინიოები?**

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლების დონეზე მჭიდრო თანამშრომლობის მიმართ საერთო ინტერესები გამოიკვეთა, ხოლო წლების განმავლობაში ორ ქვეყანას შორის კარგი ურთიერთობები ჩამოყალიბდა (Tarkhan-Mouravi 2017), მსგავსი განწყობები მხოლოდ ნაწილობრივ აისახა საზოგადოებრივ წარმოდგენებში. 2024 წლის IRI-ს კვლევის მიხედვით, 2023 წელს სომხების 83% აფასებდა საქართველოსთან ურთიერთობას როგორც მეტნაკლებად კარგს ან ძალიან კარგს, რაც მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს. თუმცა, ეს მაჩვენებელი 2020 წლის სომხეთ-აზერბაიჯანის ომის დროს ურთიერთობების გაუარესებას უკავშირდება.

კითხვაზე ვინ არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორი სომხეთისთვის, სომხების 27% და 33% შესაბამისად, საქართველოს ასახელებს. მეორე მხრივ, 2023 წლის სექტემბერ-ოქტომბრის გამოკითხვის მიხედვით, საქართველოში სომხეთს მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტნიორად გამოკითხულთა 9%, ხოლო ეკონომიკურ პარტნიორად გამოკითხულთა მხოლოდ 8% მიიჩნევს, რაც საქართველოს პოლიტიკურ პარტნიორებს შორის სომხეთს რუსეთის გვერდზე აყენებს. ეს მონაცემები საერთო აღქმებს შორის დისბალანსს ასახავს, რაც სომხეთისთვის საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, არაპროპორციულად მნიშვნელოვან პარტნიორობაზე მიუთითებს, განსაკუთრებით ეკონომიკური მიმართულებით. ორმხრივი პერსპექტივა მთლიანი სურათის მხოლოდ ერთ ნაწილს ასახავს, რადგან ქართველი რესპოდენტების 19% და 24% შესაბამისად, რაც ოჯერ და სამჯერ მეტი ადამიანია, აზერბაიჯანს საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორად მიიჩნევს.

ევროკავშირისა და აშშ-ს შემდეგ აზერბაიჯანი მესამეს, ხოლო ეკონომიკური პარტნიორობის კუთხით, თურქეთის შემდეგ მეოთხე ადგილს იკავებს. სომეხი და ქართველი ექსპერტები სომხურ-ქართული კავშირების განვითარებას განსაკუთრებული, უნიკალური გზით ხედავენ, რაც ორმხრივ ურთიერთობებში აზერბაიჯანისა და რუსეთის ჩართულობის შემცირებას გულისხმობს (JAMnews 2024a). თუმცა, ქართული საზოგადოებრივი აღქმით, ეს ფაქტორები გასათვალისწინებელია და პოლიტიკურ დონეზეც, თბილისი ინტრა-რეგიონული ბალანსის ნიუანსებსა და აზერბაიჯანთან მათ შესაძლო გავლენას აქცევს ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი და საქართველო პირდაპირი მეზობლები არიან, მჭიდრო ისტორიული კავშირები აქვთ და რეჟიმებს შორის მსგავსებებითაც ხასიათდებიან, საზოგადოებრივ დონეზე საერთო სტერეოტიპები, განსხვავებული ნარატივები და ერთმანეთის არცოდნა, ამ ორ ქვეყანას შორის დისტანციაზე მიუთითებს (Tarkhan-Mouravi 2017). ამასთან, საქართველო წლების განმავლობაში ცდილობდა საკუთარი გეოგრაფიული შეზღუდვებისგან დისტანცირებას და ქვეყნის ევროპის ნაწილად წარმოჩენას (Kakachia and Lebanidze 2024). ამდენად, საქართველოს არ შეუთვისებია სამხრეთ კავკასიის იდენტობა, და ევროპული ინტეგრაციის გზაზე უკრაინასა და მოლდოვასთან „ასოცირებული ტრიოს“ ჯგუფის წევრობას ცდილობდა (Delcour and Panchulidze 2023).

## **გაუხკვევდი მომავალი**

არსებული შესაძლებლობების მიუხედავად, ევროკავშირთან დაახლოების კუთხით საქართველოსა და სომხეთს შორის თანამშრომლობა ერთმანეთთან დაკავშირებულ არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს მოიცავს უფრო ფართო რეგიონში განვითარებულ მოვლენებს, პირველ რიგში კი უკრაინაში რუსეთის ომის ტრაექტორიას და მის გავლენას რუსეთის ძალის პროექციების შესაძლებლობებსა და სამხრეთ კავკასიაში რეგიონულ (არა)სტაბილურობაზე, რაც განსაკუთრებით სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებს უკავშირდება. ამასთან, მსგავსი შესაძლებლობები კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება საქართველოს მმართველ პარტიასა და ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ პარტნიორებს შორის არსებული მზარდი დაძაბულობის კონტექსტში. რეგიონში ცვალებადი გეოპოლიტიკის ფონზე, სომხეთში საქართველოში მიმდინარე მოვლენებს შეშფოთებით ადევნებენ თვალს და სომხეთის სამოქალაქო საზოგადოება ქართველი კოლეგების მიმართ სოლიდარობას ამჟღავნებს (Solidarity with Georgian Civil Society 2024). იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნამდვილად გადახედავს ურთიერთობებს ევროკავშირთან და შესაბამისად, საკუთარ ტრანსფორმაციულ გზას, ამან შესაძლოა გარკვეული პრობლემები შეუქმნას სომხეთისა და ევროკავშირის დაახლოებას, ლოჯისტიკური საკითხებიდან დაწყებული, დემოკრატიზაციის პროცესით გაგრძელებული და შეამცირებს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის რეგიონული ჩართულობის სივრცეს და შესაძლოა ბრიუსელის მხრიდან ამ მიმართულებით ინტერესსაც კი. ეს საკითხები სომხეთისთვის გასაგებს ხდის, რომ ევროკავშირთან ურთიერთობების გაძლიერების მიმართულებით საქართველოს პარტნიორობას მხოლოდ გეოგრაფია არ განსაზღვრავს, და რომ ეს ასევე ეხება დემოკრატიული ტრანსფორმაციის ერთიან ტრაექტორიას.

ამავდროულად, ევროკავშირთან ურთიერთობების გაძლიერების შესახებ სომხეთის მიერ გაცხადებული ინტერესის რეალიზებას საფრთხეს შინ და რეგიონში განვითარებული მოვლენებიც შეუქმნის. ევროკავშირთან დაახლოების კუთხით სომხეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები ორივე ქვეყნისა და რეგიონის მიმართ ევროკავშირის მიდგომაზეა დამოკიდებული. საქართველოს შემთხვევაში, თეორიულად მაინც, 2023 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, ბრიუსელთან მისი ურთიერთობები გაფართოების კვალს მიჰყვება. ეს იმის მიუხედავად, რომ რეალური შესაძლებლობები ამ ეტაპზე ჰაერშია და ევროკავშირს თვითონ უწევს შორს მიმავალ ადაპტაციაზე ფიქრი ახალი წევრებისთვის შესაძლებლობების შესაქმნელად (Blockmans 2024). გაფართოების პროცესის თანმხლები პრობლემების მიუხედავად, როგორც ჩანს რეგიონში ევროკავშირის ამბიციების გარშემო ჯერ კიდევ არის სტრატეგიული ხედვისა და სიცხადის დეფიციტი, მათ შორის სომხეთთან ურთიერთობების კუთხით საქართველოში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით თუ მის გარეშე. სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის მიდგომის განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია ევროკავშირში მიმდინარე დებატები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლია ბრიუსელს ერთმანეთს შეუთავსოს პარტნიორი ქვეყნების საჭიროებები, ევროკავშირის მერიტოკრატიული და ბიუროკრატიული მიდგომა დაახლოების მიმართ, წვრილ ქვეყნების ინტერესები და საკუთარი გაცხადებული მიზანი იმოქმედოს უფრო გეოპოლიტიკურ მოთამაშედ მკვეთრად ცვალებად გარემოში. გაურკვევლობის წყარო შესაძლოა ასევე იყოს რეგიონის მიმართ ევროკავშირის სტრატეგიის არარსებობა, რომელიც ასევე ახდენს გავლენას პარტნიორი ქვეყნის ინტერესებზე იმუშაონ კავშირების გაძლიერებაზე ბრიუსელთან.



## დასკვნა და რეკომენდაციები

ურთიერთობებში არსებული რყევების მიუხედავად, ერევანმა და თბილისმა აჩვენეს, რომ შეუძლიათ ორმხრივი კავშირების მართვა. თეორიულად, არაერთი სივრცე არსებობს, სადაც ევროკავშირთან ურთიერთობების გაძლიერების კონტექსტში სომხეთს და საქართველოს თანამშრომლობისთვის საერთო საფუძვლის პოვნა შეუძლიათ. ამ მიზნით, ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები. შესაძლო მიმართულებები მოიცავს პოლიტიკურ რეფორმებს, ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას, ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ თანამშრომლობას და ხალხთა შორის ურთიერთობებს. ის, თუ რამდენადაა ამ ყველაფრის რეალიზება შესაძლებელი, დამოკიდებულია რეგიონში და მის მიღმა განვითარებულ პოლიტიკურ და ორივე ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე. სამხრეთ კავკასიაში, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს რეგიონულ სტაბილურობაზე ჰქონდა გავლენა. ამასთან, უკრაინაში რუსეთის ომმა და მისგან განპირობებულმა დაპირისპირებამ რუსეთსა და დასავლეთს შორის გაზარდეს ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების მონყვლადობა და ბუნდოვანება მათ გარშემო, და გამოკვეთეს არაკეთილის მსურველი აქტორების შესაძლებლობა ხელი შეუშალონ ევროკავშირთან მათი დაახლოების პროცესს. გეოპოლიტიკურმა კონტექსტმა და მათთან დაკავშირებულმა პროცესებმა შესაძლოა ევროკავშირთან დაახლოების და ევროკავშირის გაფართოების მხარდაჭერა გაზარდოს, მაგრამ ამან შესაძლოა ასევე გადააფიქრებინოს ერთ მხრივ პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირების ძიება და მეორე მხრივ ევროკავშირს შეითავსოს უფრო მნიშვნელოვანი აქტორის როლი რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ გადამეტებულმა მოლოდინებმა ევროკავშირის რეგიონული გაფართოების პროცესს შესაძლოა ხელი შეუშალოს, მაგალითად როცა საქმე ევროკავშირის გაფართოებას ეხება უსაფრთხოების მიმართულებით, მოლოდინების მართვა, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს, სტრატეგიას არ წარმოადგენს.

ევროკავშირის მიდგომა აღმოსავლეთ სამეზობლოსთან, მათ შორის როგორც სტაბილიზაციის ფაქტორი, დიდი ხნის განმავლობაში ეფუძნებოდა ვარაუდს, რომ ევროკავშირის ნორმატიული და ეკონომიკური მიზნიდველობას საკმარის მამოძრავებელი ძალაა ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობების მიმართ პარტნიორი ქვეყნების ინტერესის შესანარჩუნებლად. საქართველოს შემთხვევა, კერძოდ მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა კი ამ ყველაფრის სანინაალმდეგოს ამტკიცებს. ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გარშემო არსებული ბუნდოვანება, რაც გულისხმობს არამხოლოდ საკამათო კანონის მიღებას უცხოური გავლენის გამჭვირვალობაზე, სავარაუდოდ ევროკავშირთან დაახლოების კუთხით საქართველოსა და სომხეთს შორის ურთიერთობებზე მოახდენს გავლენას. თუ ასე გაგრძელდა, ეს შესაძლოა სომხეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების ძირითადი პრობლემური საკითხი გახდეს. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში ბოლოს განვითარებული მოვლენები ხაზს უსვამს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან მხარდაჭერას საზოგადოების მხრიდან, რაც შეიძლება კიდევ ერთ გაკვეთილი იყოს ევროკავშირი-სომხეთის ურთიერთობებისთვის. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტრაექტორია როგორც საშინაო ისე საგარეო ურთიერთობების კუთხით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სომხეთზე და მის ურთიერთობებზე ევროკავშირთან. თუკი საქართველო ვერ შეძლებს დემოკრატიული და ევროპულ ინტეგრაციის ტრაექტორიის შენარჩუნებას, ეს საფრთხეს შეუქმნის ევროკავშირთან დაახლოების კუთხით სომხეთ-საქართველოს ერთობლივი ძალისხმევის შესაძლებლობას და შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს ევროკავშირთან სომხეთის ურთიერთობების გაძლიერების პერსპექტივისთვის.

# რეკომენდაციები (ზემოთ აღწერილი შეზღუდვების გათვალისწინებით) სომხეთისთვის, საქართველოსა და ევროკავშირისთვის:

სომხეთმა და საქართველომ უნდა სცადონ ევროკავშირთან დაახლოებისას საერთო საფუძვლის პოვნა და მოახდინონ სასარგებლო ურთიერთობების დასამყარებლად აუცილებელი აქტივობების იდენტიფიცირება, როგორცაა პოლიტიკური რეფორმის, ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდის, საერთო გამოწვევებზე პასუხის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობისა და ხალხთა შორის ურთიერთობების მიმართულებით. მაგალითად, დიალოგი და ერთობლივი ღონისძიებები საერთო ინტერესების ან გამოწვევების გარშემო შესაძლოა მოიცავდეს მედეგობის და დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობის გაძლიერებას, განსაკუთრებით სასამართლო სისტემის რეფორმის გზით. გაძლიერებული თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების სხვა მიმართულებები შესაძლოა მოიცავდეს ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავებას, მათ შორის დებინფორმაციასთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლას, მედია წიგნიერების გაუმჯობესებას და მედია თავისუფლების დაცვას.

(დამოუკიდებელ) სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის საზოგადოებრივ ჯგუფებს უნდა მიეცეთ უფრო მნიშვნელოვანი როლი ინკლუზიური და ანგარიშვალდებული პროცესებისათვის აუცილებელი აქტივობების დასაგეგმად, განსახორციელებლად და მათი მონიტორინგისთვის.

ორივე ქვეყნის ადმინისტრაციებს შეუძლიათ დაიწყონ ინფორმაციის გაზიარება ევროკავშირის კანონმდებლობის მიღების ან მასთან დაახლოების და ევროკავშირის შეთავაზებებისა და პროგრამების ეფექტურად გამოყენების კუთხით. ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს ადმინისტრაციული შესაძლებლობისა და ადამიანური რესურსების განვითარებას ევროკავშირის ხშირად კომპლექსურ სტრუქტურებში წარმატებით ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

სადაც მიზანშეწონილი და შესაძლებელია, აქტივობებში ჩართული უნდა იყოს აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიის პლატფორმის მეტად განსავითარებლად. ამან შესაძლოა პასუხი გასცეს კრიტიკას იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირი ავლებს ახალ გამყოფ ხაზებს რეგიონში და უპასუხოს საქართველოს ინტერესს სამხრეთ კავკასიაში ინტრა-რეგიონულ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

# ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოებისთვის:

სასარგებლო იქნება, თუკი ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს საზოგადოებრივი მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ორივე ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების პროცესში და შექმნის შესაძლებლობებს ხალხთაშორის ურთიერთობების გასაძლიერებლად იმისათვის, რომ მიწვდეს და პროცესში ჩართოს მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხი ხელშესახები სარგებლის უზრუნველყოფით ევროკავშირის გაფართოებას მეტ დამატებლობას შემატებს.

ბრიუსელმა გარკვევით უნდა მოახდინოს გაფართოების და ხშირად კომპლექსური და მომთხოვნი რეფორმების (გრძელვადიანი) სარგებლის შესახებ კომუნიკაცია. ამავდროულად, ევროკავშირმა უნდა ახსნას ევროკავშირის გაფართოების ლიმიტები, კონკრეტულად კი რისი უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. შესაძლოა სასარგებლო იყოს აიხსნას ევროკავშირის ფუნქციონირების სპეციფიკა და კონკრეტულად რას გულისხმობს ევროკავშირთან დაახლოება.

უფრო ზოგადად, რეგიონში გეოპოლიტიკური ბუნდოვანება, სადაც ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს პარტნიორებს უწევთ ნავიგაცია, უფრო მეტად გამწვავდა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შემდეგ. ევროკავშირმა და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ დამატებელი სტრატეგია აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის, მათ შორის სამხრეთ კავკასიისთვის, რომელიც გაითვალისწინებს ჩართულობის სხვადასხვა მიმართულებასა და საჭიროებებს და ხელს შეუწყობს ევროკავშირის როლს რეგიონში.

- Abushov, Kavus. 2023.** “Alliance-building between great power commitment and misperceptions: failed balancing despite alignment efforts in the post-Soviet space. *Journal of Contemporary European Studies* 31, no. 4 (October): 1403-1423. <https://doi.org/10.1080/14782804.2022.2134988>.
- Atenasyan, Arthur V., Bradley M. Reynolds, and Artur E. Mkrtichyan. 2023.** “Balancing between Russia and the West: the hard security choice of Armenia.” *European Security*. <https://doi.org/10.1080/09662839.2023.2258528>.
- Avedissian, Karena. 2023.** *Armenia’s Fight Against Disinformation: Towards a Whole-of-Society Approach?*. Washington: Freedom House.
- Basilaia, Ekaterine, and Nino Danelia. 2022.** *Mapping and Needs Assessment of Media Literacy Practices in Georgia*. Council of Europe. <https://rm.coe.int/-en/1680a5789e>.
- Bendiek, Annegret, Minna Ålander, and Paul Bochtler. 2020.** *CFSP: The Capability-Expectation Gap Revisited. A Data-based Analysis*. Berlin: SWP. <https://www.swp-berlin.org/10.18449/2020C58/>.
- Blockmans, Steven. 2024.** “The Three Pillars of the EU’s New Enlargement Agenda.” *SCEEUS Guest Commentary*, April 25, 2024. <https://sceeus.se/publikationer/the-three-pillars-of-the-eus-new-enlargement-agenda/>.
- Broers, Laurence. 2018.** “The South Caucasus: Fracture without End?” In *Russia Abroad. Driving Regional Fracture in Post-Communist Eurasia and Beyond*, edited by Anna Ohanyan, 81-102. Washington D.C.: Georgetown University Press.
- BTI Transformation Index. 2024. Armenia.** <https://bti-project.org/en/reports/country-dashboard/ARM>.
- CEPA Progress Monitoring Report updated by CSOs (in some areas). 2024. <https://transparency.am/en/publication/pdf/360/10936>.
- Chatham House. 2024. Protests in Georgia: what’s at stake?** Panel recording Chatham House on May 13, 2024, 130 min. <https://www.chathamhouse.org/events/all/research-event/protests-georgia-whats-stake>.
- Council of the European Union. 2024.** Joint press statement following the 8th Association Council meeting between the EU and Georgia. <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2024/02/21/joint-press-statement-following-the-8th-association-council-meeting-between-the-eu-and-georgia/pdf>.
- Council of the European Union. 2024a.** Joint press statement following the 5th meeting of the EU-Armenia Partnership Council. <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2024/02/13/joint-press-statement-following-the-5th-meeting-of-the-eu-armenia-partnership-council/pdf>.
- Coalition for an Independent and Transparent Judiciary. 2023.** *10 Years of Judicial Reforms. Challenges and Perspectives*. Tbilisi. [https://coalition.ge/files/reporma\\_170x240\\_eng\\_1.pdf](https://coalition.ge/files/reporma_170x240_eng_1.pdf).
- Council of Europe Venice Commission. 2024.** *Georgia - Urgent Opinion On the Law On Transparency of Foreign Influence*. Strasbourg, May 21, 2024. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI\(2024\)013-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2024)013-e).
- Delcour, Laure, and Narine Ghazaryan. 2024.** “Armenia’s Fragile Democratisation: A New Role for the EU?” *European Democracy Hub*. <https://european-democracyhub.epd.eu/armenias-fragile-democratisation-a-new-role-for-the-eu/>.
- Delcour, Laure, and Elene Panchulidze. 2023.** “It takes Three to Tango’: Georgia’s Engagement in Trilateral Formats as Part of the Eastern Partnership.” *Caucasus Survey* 11: 139-162.
- Eastern Partnership Civil Society Forum. 2024.** *Eastern Partnership Index 2023. Charting Performance in the Eastern Partnership: Democracy and Good Governance, Policy Convergence and Sustainable Development*. Brussels: Eastern Partnership Civil Society Forum. <https://doi.org/10.17613/ks3t-et13>.
- Ekho Kavkaza. 2024.** “RF podtverdila, shto vyvedet pogranichnikov iz ‘rjada oblastey Armenii’” *Ekho Kavkaza*, May 9, 2024. <https://www.ekhokavkaza.com/a/32939559.html>.
- European Commission. 2024.** Statement by the High Representative with the European Commission on the final adoption of the law on transparency of foreign influence in Georgia. [https://ec.europa.eu/commission/presscorner/api/files/document/print/en/statement\\_24\\_2945/STATEMENT\\_24\\_2945\\_DE.pdf](https://ec.europa.eu/commission/presscorner/api/files/document/print/en/statement_24_2945/STATEMENT_24_2945_DE.pdf).
- European Commission. 2024a.** Statement by President von der Leyen on the situation in Georgia. [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/news/statement-president-von-der-leyen-situation-georgia-2024-05-01\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/news/statement-president-von-der-leyen-situation-georgia-2024-05-01_en).
- European Council. 2023.** European Council meeting (26 and 27 October 2023) – Conclusions. <https://www.consilium.europa.eu/media/67627/20241027-european-council-conclusions.pdf>.
- European Commission. 2023.** The EU Special Incentive Arrangement for Sustainable Development and Good Governance (GSP+) assessment of the Republic of Armenia covering the period 2020-2022. <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=SWD:2023:0367:FIN:EN:PDF>.
- European External Action Service. 2024.** Armenia: Speech by High Representative/Vice-President Josep Borrell at the EP debate on closer ties and cooperation. [https://www.eeas.europa.eu/eeas/armenia-speech-high-representativevice-president-josep-borrell-ep-debate-closer-ties-and-cooperation\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/armenia-speech-high-representativevice-president-josep-borrell-ep-debate-closer-ties-and-cooperation_en).
- Factor. 2024.** “Lasha Darsaliya: Gruzija bezogovorochno podderzhivaet territorial’nyu tselostnost’ Armenii.” *Factor*, April 11, 2024. <https://factor.am/ru/54243.html>.
- Freedom House. 2024.** *Freedom in the World. Comparative and Historical Data: Aggregate Country and Subcategory Scores, 2003-2024*. <https://freedomhouse.org/reports/publication-archives>.
- German, Tracey. 2024.** “Russia’s War on Ukraine, the EU and Its Eastern Neighbourhood: Layers of Liminality. Problems of Post-Communism.” <https://doi.org/10.1080/10758216.2024.2318346>.
- Gevorgyan, Valentina, and Yulia Antonyan, eds. 2024.** *Armenia after 2018. Social and Political Transformations*. Lausanne et al.: Peter Lang.
- Ghazaryan, Narine. 2023.** “The EU and the Nagorno-Karabakh Conflict: The Forty-Four Day War and Its Aftermath.” *European Foreign Affairs Review* 28, no. 1: 53-71.
- Horký-Hluchán, Ondrej, and Petr Kratochvíl. 2014.** “‘Nothing is Imposed in This Policy!’: The Construction and Constriction of the European Neighbourhood.” *Alternatives* 39, no. 4 (November): 252-270. <https://doi.org/10.1177/0304375415574453>.
- International Energy Agency. 2023.** *Armenia Energy Profile*. <https://iea.blob.core.windows.net/assets/55834e18-f66e-4642-aed2-7ebff9c54c2c/ArmeniaEnergyProfile.pdf>.
- International Republican Institute. 2024.** *Public Opinion Survey: Residents of Armenia. December 2023*. Washington: IRI.
- International Republican Institute. 2023.** *Georgian Survey of Public Opinion. September-October 2023*. Washington: IRI.
- JAMnews. 2024.** “Armenia-Georgia strategic partnership: landmark move or mere formality?” *JAMnews*, January 31, 2024. <https://jam-news.net/armenia-georgia-strategic-partnership-step-forward-or-formality/>.

- JAMnews. 2024a.** "Armenia-Georgia duo – promising for the European Union.' Opinions." JAMnews, March 26, 2024. <https://jam-news.net/georgian-pm-in-yerevan-armenia-georgia-cooperation/>.
- Kakabadze, Shota. 2024.** "South Caucasus Amidst the Epochal Turn of the Century." In *A World in Transformation? A Comparative Study of Consequences of the War and Reactions to these Changes in the Region*, edited by Ninna Mörrner, 69-74. Stockholm: Södertörn University, Centre for Baltic and East European Studies.
- Kakachia, Kornely, Bidzina Lebanidze, Renata Skardžiūtė-Kereselidze, and Nino Samkharadze. 2024.** "Bridging the Divide: Georgia's Alignment with the EU's Foreign Policy". Georgian Institute of Politics (May 2024).
- Kakachia, Kornely, and Bidzina Lebanidze. 2024.** "Can Small States Reshape Their Regional Identities? Examining Georgia's Cognitive Dissonance between South Caucasus and Eastern Europe." *Nationalities Papers*. DOI: <https://doi.org/10.1017/nps.2024.36>.
- Khvorostiankina, Anna. 2023.** "Assessing performance of the EU-Armenia cooperation on the rule of law and judicial reform: policy resilience and relevance perspectives. *International Politics*. <https://doi.org/10.1057/s41311-023-00476-2>.
- Lebanidze, B., A. Aleksanyan, A., and I. Gonashvili. 2022.** "The Resilience-Security Nexus in the South Caucasus: Can the EU Promote Resilience without Engaging in Geopolitics?" *Caucasus Analytical Digest* 127 (May): 19-25. <https://doi.org/10.3929/ethz-b-000554652>.
- Lee, Matthew. 2024.** "US imposes travel bans on Georgian officials over new law that critics say will curb media freedom." *The Washington Post*, June 6, 2024. [https://www.washingtonpost.com/politics/2024/06/06/us-georgia-sanctions-media-freedom-russian-law/cbc6a6e4-2431-11ef-bc8d-a8ae61b84dde\\_story.html](https://www.washingtonpost.com/politics/2024/06/06/us-georgia-sanctions-media-freedom-russian-law/cbc6a6e4-2431-11ef-bc8d-a8ae61b84dde_story.html).
- Luciani, Laura. 2021.** "Where the Personal is (Geo)Political: Performing Queer Visibility in Georgia in the Context of EU Association." *Problems of Post-Communism*, DOI: 10.1080/10758216.2021.1937228
- Melis, Eva Maria, Nane Harutyunyan, Srdjan Svircev, Iryna Shcherbyna, Sidet Kim, Arpine Azaryan, Marina Matic Boskovic, Ana Krnic Kulusic, William R. Dillingier, Lidia Rován, Hikaru Kitai, Ana Maria Palacio Jaramillo, Gayane Tamamyán, and Haykanoush Ter-Vardanyan. 2023.** *Supporting Judicial Reforms in Armenia: A Forward Look - Public Expenditure and Performance Review of the Judiciary in Armenia*. Washington, D.C.: World Bank Group. <http://documents.worldbank.org/curated/en/099062723042016725/P17300304037dc02d08f5b07652545b057a>.
- Mgdesyan, Arshaluis. 2023.** "Russia's powerful economic levers over Armenia." *Eurasianet*, November 1, 2023. <https://eurasianet.org/russias-powerful-economic-levers-over-armenia>.
- Neset, Siri, Mustafa Aydin, Ayça Ergun, Richard Giragosian, Kornely Kakachia, and Arne Strand. 2023.** *Changing Geopolitics of the South Caucasus after the Second Karabakh War. Prospect for Regional Cooperation and/or Rivalry*. Bergen: Chr. Michelsen Institute. <https://www.cmi.no/publications/file/8911-changing-geopolitics-of-the-south-caucasus-after-the-second-karabakh-war.pdf>.
- Nikaghosyan, Hovhannes, and Vahram Ter-Matevosyan. 2023.** "From 'revolution' to war: deciphering Armenia's populist foreign policy-making process." *Southeast European and Black Sea Studies* 23, no. 2: 207-227. <https://doi.org/10.1080/14683857.2022.2111111>.
- Nizhnikau, Ryhor, and Arkady Moshes. 2024.** "The war in Ukraine, the EU's geopolitical awakening and implications for the 'contested neighbourhood.'" *Policy Studies*. <https://doi.org/10.1080/01442872.2024.2306972>.
- OECD. 2024.** *Baseline Report of the Fifth Round of Monitoring of Anti-Corruption Reforms in Armenia: The Istanbul Anti-Corruption Action Plan*. Paris: OECD Publishing. <https://doi.org/10.1787/fb158bf9-en>.
- Poghosyan, Benyamin. 2018.** "The Rationale behind Armenia-Georgia Strategic Partnership." *Civilnet*, March 9, 2018. <https://www.civilnet.am/en/news/383530/the-rationale-behind-armenia-georgia-strategic-partnership/>.
- Schiffers, Sonja, and Franziska Smolnik. 2022.** "Armenia, Germany, EU: New Impetus for Bilateral Cooperation in Difficult Times." *Caucasus in Focus*, no. 1 (October 2022).
- Scott, James W. 2022.** "Regional Cooperation in Times of Disruptive Crisis: Revisiting 'Civic Neighbourhoods.'" In *Cross-Border Review Yearbook 2022*, edited by James W. Scott, 9-22. Budapest: Central European Service for Cross-Border Initiatives.
- Solidarity with Georgian civil society. 2024.** <https://demdev.org/2024/04/05/solidarity-with-georgian-civil-society/>.
- Sosa, Daniel. 2024.** "Armenia's energy sector: current developments and challenges." *German Economic Team: Newsletter Armenia*. no. 17 (May-June 2024). [https://www.german-economic-team.com/wp-content/uploads/2024/05/GET\\_ARM\\_NL\\_17\\_2024\\_EN.pdf](https://www.german-economic-team.com/wp-content/uploads/2024/05/GET_ARM_NL_17_2024_EN.pdf).
- Statistical Committee of the Republic of Armenia. 2024.** *Socio-Economic Situation of RA, January-December 2023*. *Vneshniy sektor, Armstat*, [https://www.armstat.am/file/article/sv\\_12\\_23r\\_411.pdf](https://www.armstat.am/file/article/sv_12_23r_411.pdf).
- Tarkhan-Mouravi, George. 2017.** *Armenia and Georgia: Resilient Relationship*. Tbilisi: Heinrich Böll Stiftung. <https://ge.boell.org/en/2017/12/15/armenia-georgia-resilient-relationship>.
- Tatikyan, Sossi. 2024.** "The Impact of Russia's War in Ukraine on the Nagorno-Karabakh Conflict and Armenia." In *A World in Transformation? A Comparative Study of Consequences of the War and Reactions to these Changes in the Region*, edited by Ninna Mörrner, 75-89. Stockholm: Södertörn University, Centre for Baltic and East European Studies.
- Ter-Matevosyan, Vahram. 2023.** *From Transcaucasia to the South Caucasus: Structural and Discursive Predicaments in Armenia's Regional Integration*. *Journal of Borderland Studies*. <https://doi.org/10.1080/08865655.2023.2200782>.
- Terzyan, Aram. 2023.** "Fear or Identity? Explaining Armenia's Stance Toward Russia in the Context of the War in Ukraine." *Georgetown Journal of International Affairs* 24, no. 1 (Spring): 4-11. <https://doi.org/10.1353/gia.2023.a897695>.
- The Prime Minister of the Republic of Armenia. 2024.** Nikol Pashinyan and Irakli Kobakhidze make statements for media representatives. <https://www.primeminister.am/en/press-release/item/2024/03/25/Nikol-Pashinyan-Announcement-for-Press/>.
- Tsetskhladze, Salome. 2023.** *Spreading Disinformation in Georgia. State Approach and Counter measures*. Tbilisi: Transparency International Georgia. [https://www.transparency.ge/sites/default/files/disinfo-en\\_0.pdf](https://www.transparency.ge/sites/default/files/disinfo-en_0.pdf).
- Vardanyan, Edgar, and Mikayel Zolyan. 2024.** *Ideological Narratives of Russian Propaganda and their Echoes in Georgia and Armenia*. Yerevan: Friedrich Naumann Foundation.
- Williams, Tiffany. 2023.** "Regional Transformation as Reterritorialisation: Examining the distorted image of Europeanisation." *Journal of Contemporary European Research* 19, no. 2: 207-225. <https://doi.org/10.30950/jcer.v19i2.1296>.
- Williams, Tiffany. 2022.** "Legitimacy, Conditionality, and Norm Compliance. Lessons from the EU's Normative Power Approach." In *The Politics of Legitimation in the European Union. Legitimacy Recovered?*, edited by Christopher Lord, Peter Bursens, Dirk De Bièvre, Jarle Trondal and Ramses A. Wessel, 238-261. London: Routledge.
- Wolczuk, Kataryna, Tamar Gamkrelidze, Andriy Tyushka, and Thomas de Waal. 2024.** "Formulating Proposals for a More Effective Engagement with Neighbourhood Regions." *Engage Working Paper Series* no. 32 (January 2024).
- Wolczuk, Kataryna, Tamar Gamkrelidze, Henna Kakko, and Arto Väisänen. 2023.** "Mapping Changing Intra-EU and External Opportunity Structures and Their Impact on Past EU Neighbourhood Policies." *Engage Working Paper Series* no. 26 (June 2023).



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

---

📍 საქართველო, თბილისი 0107,  
ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

☎ +995 599 99 02 12

✉ info@gip.ge 🌐 [www.gip.ge](http://www.gip.ge)